გურთიად
GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 29 Ağustos / აგვისტო

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	5.7 %

Recep Tayyip Erdoğan - Türkiye Karadeniz'de hala doğalgaz rezervi bulabilir.
რეჯეფ თაიფ ერდოღანი - თურქეთს შავ ზღვაში ბუნებრივი აირის მარაგის პოვნა კიდევ შეუძლია

Karadeniz'in batı kıyısı açıklarında araştırma operasyonu yürüten Türk sondaj gemisi Fatih, Karadeniz'in en büyük doğalgaz sahasını keşfetti.

Türkiye Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan'a göre 320 milyar metreküp gaz keşfedildi. Ona göre Türkiye 2023 yılına kadar doğalgaz rezervi çıkarılmaya ve kullanılmaya başlanacak. Kuyuların bir kısmı 2021'de kurulacak. Türkiye Enerji ve Tabii Kaynaklar Bakanı'na göre, keşfedilen doğalgaz sahasının değeri, 65 milyar dolar.

Türkiye Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan, Türkiye'nin Karadeniz'de hala doğalgaz bulabileceğini söyledi. Bu nedenle sondaj devam edecek. Açıklama Türkiye Cumhurbaşkanı tarafından Ankara'da düzenlenen basın toplantısında yapıldı.

თურქეთის მბურღავმა ხომალდმა ფატიჰმა შავ ზღვაში უმსხვილესი საბადო აღმოაჩინა, რომელიც შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროებთან კვლევა-ძიების ოპერაციას აწარმოებდა.

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის თქმით, აღმოჩენილია 320 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის გაზი. მისივე თქმით აღნიშნული რეზერვის მოპოვებას და გამოყენებას თურქეთი 2023 წლისთვის დაიწყებს. ჭაბურღილების ნაწილი 2021 წელს განთავსდება.

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებით, აღმოჩენილი გაზის საბადოების ღირებულება 65 მილიარდ დოლარს შეადგენს.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ თურქეთს შავ ზღვაში ბუნებრივი აირის მარაგის პოვნა კიდევ შეუძლია, ამის გამო კი, ბურღვითი სამუშაოები გაგრძელდება. ამის შესახებ განცხადება თურქეთის პრეზიდენტმა ანკარაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

Geostat'ın İcra Direktörü UNESCAP Başkanı seçildi
საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი UNESCAP-ის თავმჯდომარედ აირჩიეს

26 Ağustos 2020'de Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi'nin İcra Direktörü Gogita Todradze, Birleşmiş Milletler Asya ve Pasifik Ekonomik ve Sosyal Komisyonu (UNESCAP) Bürosu Başkanlığına iki yıllık bir dönem için seçildi.
Gürcistan istatistikleri tarihinde ilk kez, Gürcistan temsilcisi, resmi istatistiklerin daha da geliştirilmesi ve iyileştirilmesi açısından ülke için büyük bir fırsat olan UNESCAP İstatistik Komitesi Bürosu Başkanı oldu.

Başkan olarak seçildikten sonra Gogita Todradze, bildirilen güven için katılımcılara teşekkür etti ve Gürcistan ile UNESCAP arasındaki işbirliğinin önemi hakkında konuştu.

Güncellenen Büro, Gürcistan ile birlikte Hindistan, Malezya, Filipinler, Moğolistan ve Fiji İstatistik Hizmetleri başkanlarını bir araya getiren 6 üyeden oluşuyor.

Etkinlik sırasında, yeni seçilen Başkan olarak Gogita Todradze, üst düzey bir panel tartışmasına katıldı, 2030 Sürdürülebilir Kalkınma Gündemi, istatistik sisteminin karşılaştığı zorluklar ve gelişiminin ana yönleri hakkında konuştu.

2020 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი - გოგიტა თოდრაძე, ორი წლის ვადით, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური (UNESCAP) კომისიის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ქართული სტატისტიკის ისტორიაში საქართველოს წარმომადგენელი UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარე პირველად გახდა, რაც ქვეყნისთვის წარმოადგენს უდიდეს შესაძლებლობას, ოფიციალური სტატისტიკის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით.

თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, გოგიტა თოდრაძემ მადლობა გადაუხადა მონაწილეებს გამოცხადებული ნდობისთვის და საქართველოსა და UNESCAP-ის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

განახლებული ბიურო 6 წევრისგან შედგება, რომელიც საქართველოსთან ერთად, ინდოეთის, მალაიზიის, ფილიპინების, მონღოლეთის, და ფიჯის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელებს აერთიანებს.

ღონისძიების ფარგლებში, გოგიტა თოდრაძემ ახლადარჩეული თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მიიღო მაღალი დონის პანელურ დისკუსიაში, ისაუბრა მდგრადი განვითარების

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

2030 წლის დღის წესრიგზე, სტატისტიკის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და მისი განვითარების ძირითად მიმართულებებზე.

Kakheti'de üzüm hasadı başlıyor
კახეთში რთველი დაიწყო

Kakheti bölgesinde üzüm hasadı başladı. Bugünün verilerine göre „Üzüm hasadı 2020" çerçevesinde 200 tonun üzerinde üzüm işlendi.

Bu aşamada, üzümlerin işlenmesine kademeli olarak katılacak olan üzümlerin toplanması koordinasyon kuruluna yaklaşık 50 şarap imalathanesi kayıtlıdır.

İşlenmiş üzümler, birleşik bir elektronik veri tabanında özel bir program aracılığıyla kaydedilir ve herkes güncellenmiş bilgileri Ulusal Şarap Ajansı http://www.wine.gov.ge/Ge/Statistic?harvestYearId=1007 web sitesinde görüntüleyebilir.

"Üzüm Hasadı 2020" Koordinasyon Merkezi Telavi'de (97 Alazani Caddesi) yer almaktadır. Günün 24 saati çalışmaktadır.

Üzüm hasadı döneminde, Ulusal Şarap Ajansı, Kakheti bölgesinde yaşayan öğrencileri şarap imalathanelerinde operatör olarak işe alacaktır.

კახეთის რეგიონში რთველი დაიწყო. დღეის მონაცემებით, „რთველი 2020"-ის ფარგლებში, გადამუშავებულია 200 ტონაზე მეტი.

ამ ეტაპზე, რთველის საკოორდინაციო შტაბში უკვე დარეგისტრირდა ღვინის მწარმოებელი 50-მდე კომპანია, რომლებიც მოსავლის დაბინავების პროცესში ეტაპობრივად ჩაერთვებიან.

გადამუშავებული ყურძენი აღირიცხება სპეციალური პროგრამის მეშვეობით ერთიან ელექტრონულ ბაზაში და ნებისმიერ მსურველს განახლებული ინფორმაციის ნახვა ონლაინ რეჟიმში ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე http://www.wine.gov.ge/Ge/Statistic?harvestYearId=1007 შეეძლება.

"რთველი 2020"-ის საკოორდინაციო შტაბი განთავსებულია თელავში (ალაზნის ქ. 97). რომელიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობს.

რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმებს. მათივე ინფორმაციით, 120 სტუდენტი, კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სასწავლებლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად შეირჩა.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Gürcistan'daki iş ortamı, diğer birçok ülkeden çok daha elverişlidir.

საქართველოში ბიზნესგარემო გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში

Dünya Bankası Güney Kafkasya Bölge Direktörü Sebastian Molineus, Dünya Bankası girişim anketinin sonuçlarını değerlendirirken, "Gürcistan'daki iş ortamı diğer birçok ülkeden çok daha elverişli" dedi.

Kendisinin de belirttiği gibi, İşletme Anketi, ülkenin özel sektörünün sağlığını değerlendiren çok önemli bir ankettir ve aslında, kapsamı açısından küresel olan birkaç anketten biridir.

საქართველოში ბიზნესგარემო გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, - განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა მსოფლიო ბანკის საწარმოთა კვლევის შედეგების შეფასებისას.

როგორც მან აღნიშნა, საწარმოთა კვლევა მეტად მნიშვნელოვანი კვლევაა, რომელიც აფასებს ქვეყნის კერძო სექტორის სიჯანსაღეს და ფაქტიურად, ერთ-ერთია იმ რამდენიმე კვლევას შორის, რომელიც გლობალურია თავისი დაფარვით.

Kurumsal Araştırma Grubu, dünya çapında 144 ülkede yaklaşık 164.000 önde gelen girişimci ve CEO ile röportaj yaptı. Gürcistan'da 581 işletmenin Genel Müdürü ve Girişimcisi ile görüşüldü.

Dünya Bankası Bölge Direktörüne göre, Gürcistan'daki girişimciler ve firmaların yöneticileri, düzenleme yükü nedeniyle vergi oranları ve idari konulara çok daha az zaman harcıyor. İzin almak diğer ülkelere göre çok daha hızlıdır ve genel olarak iş ortamı diğer birçok ülkeye göre çok daha uygundur.

მსოფლიო მასშტაბით, საწარმოთა კვლევის ჯგუფი დაახლოებით, 164 000 წამყვან მეწარმესა და კომპანიის გენერალურ დირექტორს გაესაუბრა 144 ქვეყანაში. საქართველოში გამოიკითხა 581 საწარმოს გენერალური დირექტორი და მეწარმე.

მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის თქმით საქართველოში მეწარმეები და ფირმების დირექტორები გაცილებით ნაკლებ დროს ხარჯავენ რეგულირების ტვირთის გამო საგადასახადო განაკვეთებთან და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებართვების აღება გაცილებით სწრაფად ხდება სხვა ქვეყნებთან შედარებით, და ზოგადად, ბიზნესგარემო გაცილებით ხელსაყრელია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

Ayrıca Gürcistan'ın yolsuzlukla mücadele konusundaki sonuçlarına da odaklandı. Sebastian Molineus'a göre, Gürcistan'daki firmaların yalnızca % 1.3'ü bir memurdan rüşvet talep ettiğini bildirdi. Bu, Avrupa ve Orta Asya'nın % 10 ortalamasına kıyasla çok iyi bir veri.

Aynı zamanda, temel olarak altyapı, inşaat izinleri alma ve ortak çabalarla ele alınması gereken finansmana erişimle ilgili zorlukların devam ettiğini kaydetti.

İşletme anketi 4 yılda bir yapılır ve amacı iş ortamını değerlendirmektir. Anket en son Mart 2019'dan Ocak 2020'ye kadar Gürcistan'da gerçekleştirildi.

Gürcistan'ın en düşük rüşvet oranı açısından ilk 10 ülke arasında yer aldığını belirtmek gerekir.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

მან ასევე ყურადღება გაამახვილა კორუფციისგან თავისუფლების მიხედვით საქართველოს მიერ მიღწეულ შედეგებზე.

სებასტიან მოლინეუსის განცხადებით, საქართველოში ფირმების მხოლოდ 1.3%-მა აღნიშნა, რომ სახელმწიფო მოხელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქრთამის მოთხოვნას. ეს ძალიან კარგი მონაცემია თუ შევადარებთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 10% -იან საშუალო მაჩვენებელს.

ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ რჩება გამოწვევები, რომელიც ძირითადად, დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, სამშენებლო ნებართვების აღებასთან, ასევე დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაიჭრას.

საწარმოთა კვლევა ტარდება 4 წელიწადში ერთხელ და მისი მიზანია, ბიზნესგარემოს შეფასება. აღნიშნული კვლევა საქართველოში ბოლოს 2019 წლის მარტიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით ჩატარდა.

აღსანიშნავია რომ საქართველო მოხვდა 10 წამყვან ქვეყნის შორის ქრთამის შემთხვევების უდაბლესი მაჩვენებლის მიხედვით.

„Birleşik Tarım Projesi"
„ერთიანი აგროპროექტი“

Siğnaği belediyesinde, "Birleşik Tarım Projesi" çerçevesinde devlet desteğiyle tarım kooperatifi "Alazani" ye ait yeni bir soğutma çiftliği açıldı.

Modern standartlara göre donatılan şirket, 600.000 lari hibe dahil, 1 milyon lari değerinde yatırım yaptı.

Soğutma çiftliğinde 1100 ton meyve ve sebze depolanabilir. Kooperatif, ürünlerini yerel pazarda satmayı planlıyor. Kooperatif 15 yerli istihdam sağlamaktadır. "Birleşik Tarım Projesi" çerçevesinde Kakheti bölgesinde 82 yeni işletme devlet tarafından finanse edilirken, ülke genelinde 225 işletme kuruldu.

Uzun vadeli kalkınma için tasarlanan ve tarımı destekleyecek bir ortam yaratmayı amaçlayan "Birleşik Tarım Projesi" Tarım ve Kalkınma Ajansı tarafından yürütülüyor.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „ალაზანი“ ახალი სამაცივრო მეურნეობა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ამოქმედდა.

AK YIL ZEMİN Anıl Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ საწარმოში, ჯამურად 1 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, 600,000 ლარი გრანტია.

სამაცივრე მეურნეობაში 1100 ტონა ხილისა და ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი. კოოპერატივი პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე გეგმავს. საწარმოში 15 ადგილობრივია დასაქმებული.

„ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში“, კახეთის რეგიონში, სახელმწიფოს მიერ 82 ახალი საწარმოა დაფინანსებული, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 225 საწარმოა შექმნილი.

„ერთიანი აგროპროექტს“ სოფლის მეურნეობის და განვითარების სააგენტო ანხორციელებს, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობას.

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 25 milyona yaklaşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 24 932 611, vefat edenlerin sayısı – 841 784, iyileşenlerin sayısı – 17 312 575. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Hindistan, Rusya, Güney Afrika ve Peru da görülmüştür. Konuya ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკურიმონაცემებით 25 მილიონს მიუახლოვდა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 24 932 611 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 841 784 ხოლო გამოჯანმრთელდა 17 312 575 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ბრაზილიას, ინდოეთს, რუსეთს, სამხრეთ აფრიკას, მექსიკას და პერუს ჰყავს.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	6 096 756	185 965	3 376 530	2 534 261
Brezilya / ბრაზილია	3 812 605	119 594	2 976 796	716 215
Hindistan/ ინდოეთი	3 468 272	62 750	2 649 621	755 901
Rusya / რუსეთი	985 346	17 025	804 383	163 938
Peru / პერუ	629 961	28 471	438 017	163 473
Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა	620 132	13 743	533 935	72 454
Kolombiya/კოლუმბია	590 520	18 767	429 620	142 133
Meksika / მექსიკა	585 738	63 146	404 667	117 925
Ispanya / ესპანეთი	455,621	29,011	N/A	N/A
Şili / ჩილე	405 972	11 132	379 452	15 388
Türkiye / თურქეთი	265 515	6 245	241 809	17 461
Gürcistan / საქართველო	1 462	19	1 196	247
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	24 932 611	841 784	17 312 575	6 778 252

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

USD/GEL – 3.0696 TRY/GEL – **TRY** 0.4174 EUR/GEL –3.6243 GBP/GEL – 4.0500

GEL/USD

22 – 29 Ağustos 2020

USD/TRY

22 – 29 Ağustos 2020

TRY/GEL

22 – 29 Ağustos 2020

ALTIN – **62.168.37 kg/usd**

22 – 29 Ağustos 2020